

მანაცხადების მიღება

Medical Times

რეფერირებადი ჟურნალი, რომელიც რეპროდუქციულ მედიცინაში, უახლესი კვლევების გამოქვეყნებას უწყობს ხელს. ვიწვევთ მკვლევარებს, მეცნიერებს, დარგის სპეციალისტებს, რომ წვლილი შეიტანონ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებებში და გააზიარონ თავიანთი კვლევის შედეგები. ჟურნალი განაცხადების სახით მიიღებს ორიგინალურ კვლევით სტატიებს, მიმოხილვებს, შემთხვევების განხილვებს და გადაჭრის პერსპექტივებს, რომლებიც უდავოდ ხელს შეუწყობს რეპროდუქციული ჯანმრთელობის, როგორც დარგის განვითარებას.

Medical Times მხარდაჭერას უცხადებს ახალგაზრდა მკვლევრებს, რომ გამოჩნდნენ სამეცნიერო ასპარეზზე და სთავაზობს შესაძლებლობას მოხსენების აბსტრაქტები კონფერენციის მოხსენებებისთვის განკუთვნილ პლატფორმაზე გამოაქვეყნონ.

ჟურნალის ვებ-გვერდი იყენებს OJS სისტემას (Open Journal System) და ყველა სტატიას ინდივიდუალურად მიენიჭება DOI (Digital Object Identifier).

ინტერესის სფერო:

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები (ART), ქალისა და მამაკაცის უნაყოფობა, რეპროდუქციული ენდოკრინოლოგია, რეპროდუქციული გენეტიკა, ნაყოფიერების შენარჩუნება, რეპროდუქციული ქირურგია, რეპროდუქციული ეთიკა და კანონი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკა, ინოვაციები რეპროდუქციულ მედიცინაში.

მანაცხადის მამზავნა

ავტორებმა MS Word ფორმატის დოკუმენტები უნდა გააგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: conference@ivfggrc.com, journal@ivfggrc.com

მნიშვნელოვანი თარიღები:

წარდგენის ბოლო ვადა: 2024 წლის 15 აგვისტო
რეფერირება: 4-8 კვირა
გამოქვეყნების თარიღი: 2024 წლის სექტემბერი

მთავარი რედაქტორი

ნინო მუსერიძე

მმართველი რედაქტორი

თამარ მაღულარია

მანაცხადის მზამკვლევი:

ყველა განაცხადი უნდა შეესაბამებოდეს AMA ფორმატირებისა და ციტირების სტილ. წარმოდგენილი სტატია არ უნდა იყოს გამოქვეყნებული სხვა ჟურნალში ან განიხილებოდეს სხვაგან გამოსაქვეყნებლად. ავტორებს ვთხოვთ, ყურადღებით გაეცნონ ინსტრუქციებს და ფორმატირების მოთხოვნებს.

ნებართვა

ავტორებმა უნდა დართონ ნება MEDICAL TIMES-ს ჟურნალის ვებ-გვერდზე განათავსონ სტატიები და ხელი შეუწყონ მათ ფართოდ გავრცელებას.

ფორმატის ტიპები

სტატია	მიმოხილვა	მოკლე კომუნიკაცია
სათაურის გვერდი ავტორის შესახებ ინფორმაცია მისამართი/აფილირება აბსტრაქტი (150-250 სიტყვამდე) საკვანძო სიტყვები (5-7 სიტყვა) შესავალი მასალა და მეთოდები შედეგები დისკუსია მადლობის ტექსტი მონაცემები ცხრილები ილუსტრაციები **ორიგინალური კვლევის სტატია უნდა მოიცავდეს დაახლოებით 3000-6000 სიტყვას, 3-5 ილუსტრაციას და 30-50 წყაროს.**	სათაურის გვერდი ავტორის შესახებ ინფორმაცია საკვანძო სიტყვები (5-7 სიტყვა) მისამართი/აფილირება აბსტრაქტი (150-250 სიტყვამდე) ტექსტი მადლობის ტექსტი მონაცემები ცხრილები ილუსტრაციები **მიმოხილვა უნდა მოიცავდეს დაახლოებით 4000-8000 სიტყვას, 8-10 ილუსტრაციას და 50-120 წყაროს.**	სათაურის გვერდი ავტორის შესახებ ინფორმაცია მისამართი/ აფილირება აბსტრაქტი (150-250 სიტყვამდე) საკვანძო სიტყვები (5-7 სიტყვა) შესავალი მასალა და მეთოდები შედეგები დისკუსია მადლობის ტექსტი მონაცემები ცხრილები ილუსტრაციები **მოკლე საკომუნიკაციო სტატია უნდა მოიცავდეს 2000-3000 სიტყვას, 2-4 ილუსტრაციას და 20-30 წყაროს.**

ცხრილები	ილუსტრაციები	ლიტერატურა
დოკუმენტში ცხრილები უნდა იყოს დანომრილი არაბული ციფრებით და თანმიმდევრობა უნდა მიჰყვეს ტექსტში მათ ციტირებას. აღწერილობის სათაურები უნდა განთავსდეს ცხრილის ზედა ნაწილში, ხოლო სქოლიო უნდა იყოს ჩართული მის ქვემოთ. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ტექსტში უკვე ნახსენები ნებისმიერი მონაცემი არ შეიძლება განმეორდეს ცხრილებში. და ბოლოს, ცხრილები უნდა იყოს წარმოდგენილი Microsoft Word-ში ცალკე A4 ფურცლის ზომაზე.	ილუსტრაციების ელ. ვერსიები უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუციებით: 600 (dpi) გრაფიკული გამოსახულებისთვის. 300 dpi ფერადი და შავ-თეთრი ილუსტრაციებისთვის. ფერადი სურათების ფორმატი CMYK და არა RGB.	გამოყენებული ლიტერატურა უნდა იყოს დაფორმატებული AMA სტილის შესაბამისად. წყაროები ჯერ ანბანურად, შემდეგ ქრონოლოგიურად უნდა დალაგდეს. ერთსა და იმავე წელს ერთზე მეტი მითითება ერთი და იმავე ავტორი(ები)სგან უნდა იყოს იდენტიფიცირებული ასოებით: a, b, c... განთავსებული გამოცემის წლის შემდეგ.

Medical Times

სტატიის სტრუქტურა

შესავალი	ექსპერიმენტი	თეორია / გამოთვლა
ამ ნაწილში ავტორებმა უნდა დაასახელონ ნაშრომის მიზნები და მიაწოდონ ძირითადი ინფორმაცია ლიტერატურის კვლევის ან შედეგების შეჯამების გარეშე.	ექსპერიმენტული ნაწილი მოიაზრებს დეტალებს, დამოუკიდებელი მკვლევრის მიერ, ნაშრომის კვლევის ხელახალი წარმოებისთვის. თუ მეთოდები უკვე გამოქვეყნებულია, ისინი უნდა იყოს შეჯამებული და მითითებული. აქვე უნდა იყოს აღწერილი არსებული მეთოდების ნებისმიერი სახის ცვლილება.	თეორია/გამოთვლის ნაწილი შემდგომი მუშაობის საფუძველია. ეს ნაწილი წარმოადგენს პრაქტიკულ განვითარებას თეორიული საფუძვლიდან. სტატიის წინაპირობა უკვე განხილული იყო შესავალში.
შედეგები	**დისკუსია**	**დასკვნა**
ამ ნაწილში ავტორებმა უნდა წარმოადგინონ მკაფიო და ლაკონური შედეგები. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას აძლევს მკითხველს სწრაფად გაიგოს კვლევის ძირითადი დასკვნები.	დისკუსიის ნაწილში ავტორმა უნდა გამოიკვლიოს შედეგების მნიშვნელობა და არ გაიმეოროს ისინი. აქ თავი უნდა ავარიდოთ გამოქვეყნებული ლიტერატურის ციტირებასა და განხილვას.	დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის ძირითადი დასკვნები მოკლედ და გამოყოფილად.
აბსტრაქტი	**მადლობის ტექსტი**	**AMA სტილი**
აბსტრაქტი წარმოადგენს კვლევის მოკლე და ფაქტობრივ შეჯამებას. მასში ლაკონირად უნდა იყოს მითითებული კვლევის მიზანი, ძირითადი შედეგები და დასკვნები. ლიმიტი 150-250 სიტყვა.	მადლობის ტექსტით აღვნიშნავთ და მადლობას ვუხდით მათ, ვინც წვლილი შეიტანეს კვლევაში, მაგრამ არ აკმაყოფილებდნენ ავტორის კრიტერიუმებს.	AMA Manual of Style არის ამერიკული სამედიცინო ასოციაციის სტილის სახელმძღვანელო. ყველა სტატია უნდა შეესაბამებოდეს AMA ფორმატირებისა და ციტირების სტილის მითითებებს.

Address: 51g Barnovi St. Tbilisi, Georgia
Website: https://ivfggrc.com/magazine-medical-times-en/